

მარცვლოვანი კულტურების შესახებ ეთნობოტანიკური ცოდნის კვლევა
დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რეგიონში (სამეგრელო-ზემო
სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთში)

რუხაია თამარი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე ეკოლოგიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა: ეკოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარინე მოსულიშვილი, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარი რუხაია

თ. რუხაია

18.01.2025

სარჩევი

აბსტრაქტი	v
შესავალი.....	6
კვლევის სიახლე და აქტუალობა.....	10
კვლევის მიზნები და ამოცანები	12
თავი 1. საკვლევი რეგიონის მოკლე დახასიათება	14
თავი 2. კვლევის ობიექტი და მეთოდები.....	17
კვლევის ობიექტი 2.1.....	17
კვლევის მეთოდები 2.2	19
კვლევის დიზაინი 2.3.....	21
ცხრილი 1. გამოკითხული მოსახლეობის ეთნობოტანიკური ცოდნის მოკლე ჩანაწერი.....	22
დისკუსია.....	41
შედეგები.....	50
დასკვნა	55
დანართები:	57
ბიბლიოგრაფია	60

აბრევიატურები, სიმბოლოები, შემოკლებები:

რ - რაიონი

ცხრ.- ცხრილი

სურ. - სურათი

იხ. - იხილეთ

მაგ. - მაგალითად

ზღ.დ - ზღვის დონე

წ. - წელი

წწ. - წლები

სოფ. - სოფელი

ქ.- ქალაქი

დას.- დასავლეთი

სხვ. - სხვა

აბსტრაქტი

2023-2024 წწ-ში ზაფხულის პერიოდში, საქართველოს რეგიონებში, კერძოდ სამეგრელოსა და ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის ტერიტორიებზე, ტრადიციული მარცვლოვნების თესვისა და მოყვანის შესწავლასთან დაკავშირებით ჩატარდა კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა ინფორმაციების შეგროვებასა და აღრიცხვას იმის შესახებ თუ რამდენად ხშირად ითესება მარცვლოვანი კულტურები (ქერი *Hordeum vulgare* L.; ჭვავი *Secale cereale* L.; ფეტვი *Panicum miliaceum* L.; ღომი *Setaria italica* (L.) P.Beauv.) და არის თუ არა ისინი ჩანაცვლებული სხვა მარცვლოვნებით სამეურნეო საქმიანობაში.

ჩატარებულ რეგიონებში გამოკითხული მოსახლეობა, გვიამბობდა მარცვლოვნების დათესვის მეთოდებზე, მოსავლის აღებისა თუ მისი შემდგომში გამოყენების შესახებ.

ჩვენს მიერ ჩატარებული ეთნობოტანიკური კვლევა უმნიშვნელოვანესია საქართველოსთვის და ასევე ამ რეგიონებისთვის, რადგანაც უძველესი ტრადიციული მარცვლოვნების შენარჩუნება, მოყვანა და გამოყენება უმთავრესია, რომ არ დაიკარგოს ჩვენი კულტურა, შენარჩუნებული იქნას უნიკალური სახეობები და ხელი შეეწყოს ტრადიციული მეურნეობის განვითარებას რადგანაც, ეს სახეობები გამორჩეულია, როგორც უნიკალური გემოვნური თვისებებით, ასევე გენეტიკური მრავალფეროვნებით.